



თერჯოლის მაგისტრატი სასამართლო

11

03

4/6- 2024წ.

„ _____ “ _____ 2024წ.

№ _____

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის
დასავლეთის რეგიონული სამმართველოს უფროსს
მისამართი: ქ.ქუთაისი, სადგურის მოედანი №3

გეგზავნებათ თერჯოლის მაგისტრატი სასამართლოს 2024 წლის 6 მარტის №4/6
დადგენილების ასლი .

დანართი: დადგენილება ერთ ეგზემპლარად.

პატივისცემით,

მოსამართლის თანაშემწე



და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

6 მარტი, 2024 წელი

ქ.ზესტაფონი

თერჯოლის მაგისტრატი სასამართლო
მოსამართლე - შოთა ნიკურაძე
სხდომის მდივანი -

ოქმის შემდგენი ორგანო - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონული სამმართველო;
წარმომადგენელი: _____ ;

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი - შპს „ასტეჯ“;
წარმომადგენელი: _____

განიხილა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და მასალები, ადმინისტრაციული სახდელის დადების თაობაზე, სამართალდარღვევისათვის, რაც გათვალისწინებულია „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

2024 წლის 9 თებერვალს, თერჯოლის მაგისტრატ სასამართლოში საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონული სამმართველოდან შემოვიდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მასალები შპს „ასტეჯის“ მიმართ, ადმინისტრაციული სახდელის დადების თაობაზე „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტზე.

წარმოდგენილი მასალების თანახმად: თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ კვახჭირში განთავსებული შპს „ასტეჯის“ კუთვნილი ასფალტის ქარხნისა და სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა- ხრეშის) გადამამუშავებელ საწარმოს, „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 17 ოქტომბრის DES02300000140 ბრძანებით დაეკისრა მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა. გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაკისრების

შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან (01.11.2023 წ) 60 კალენდარული დღის ვადაში შპს „ასტექის“ მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში არ არის წარდგენილი ინფორმაცია კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, დაზიანებული გარემოს პირვანდელი (ზიანის მიყენებამდე არსებულ) მდგომარეობაში აღდგენის ან პირვანდელი (ზიანის მიყენებამდე არსებულ) მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენის შესაძლებლობის შესახებ. (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს წერილი N21/767, 31.01.2024 წელი)

აღნიშნულის გამო შპს „ასტექის“ მიმართ, 2024 წლის 5 თებერვალს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი N085605, „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით.

სასამართლოს სხდომაზე გამოცხადებული ოქმის შემდგენი ორგანოს წარმომადგენელი დაეთანხმა ოქმის შინაარსს და მოითხოვა შპს „ასტექის“ მიმართ ადმინისტრაციული სახდელის დადება „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის - შპს „ასტექის“ წარმომადგენელი დაეთანხმა სამართალდარღვევის ოქმს და განმარტა, რომ კომპანიამ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 1 თებერვალს, გაუგზავნა მოსაზრება „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დაკისრებული პასუხისმგებლობის ფარგლებში, კომპანიის მიერ დაზიანებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის შესაძლებლობასთან დაკავშირებით, რაზეც 2024 წლის 23 თებერვალს მიიღო პასუხი. დღეის მდგომარეობით დარღვევა უკვე აღმოფხვრილია და ითხოვა შეღავათის გაწევა.

საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებები მოსმენის შედეგად სასამართლოს მიაჩნია, რომ სახეზეა შპს „ასტექის“ მიერ „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, რის გამოც შპს „ასტექი“ ცნობილი უნდა იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად და ჩადენილი ქმედების მცირე მნიშვნელობის და ხასიათის გამო მას უნდა გამოეცხადოს სიტყვიერი შენიშვნა, შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული სამართალდარღვევები საქართველოში მოწესრიგებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახდელი, რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ და რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების პრიორიტეტია ადმინისტრაციული გადაცდომის (დელიქტის) ჩადენის შემთხვევაში სამართალდარღვევის ჩამდენი პირების პასუხისგებაში მიცემა და შესაბამისად, გადაცდომის თავიდან აცილება, კანონიერების და მართლწესრიგის განმტკიცება.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ კანონმდებლობას განაპირობებს კერძო პირის ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე და მის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობა.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახვი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

სასამართლო, ასევე, მოიხმობს ხსენებული საკანონმდებლო აქტის მე-8 მუხლს, რომელიც ადგენს, რომ არავის არ შეიძლება შეეფარდოს ზემოქმედების ზომა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო, თუ არა კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს აწარმოებენ კანონიერების მკაცრი დაცვის საფუძველზე. საამისოდ უფლებამოსილი ორგანოები და თანამდებობის პირნი ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომებს შეუფარდებენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის ზუსტი შესაბამისობით.

„გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების პრევენციასთან, გარემოსთვის მიყენებული ზიანის ან გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის შერბილებასთან, გარემოსთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში განსახორციელებელ ღონისძიებებთან (მათ შორის, გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების განხორციელებასა და გარემოსთვის მიყენებული ზიანისა და გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის ანაზღაურებასთან) დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

ამავე კანონის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტით თუ მნიშვნელოვანი ზიანი მიყენებულია ამ კანონის №2 დანართით („გარემოსთვის განსაკუთრებით საშიში საქმიანობები“) გათვალისწინებული საქმიანობის ფარგლებში, ამ საქმიანობის განმახორციელებელ პირს დაეკისრება მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა, დეპარტამენტის მიერ ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი ზიანის არსებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად.

ასევე მე-8 მუხლის თანახმად:

1. მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების განსაზღვრისას თავდაპირველად უნდა დადგინდეს, შესაძლებელია თუ არა დაზიანებული გარემოს პირვანდელ (ზიანის მიყენებამდე არსებულ) მდგომარეობაში აღდგენა.
2. თუ დაზიანებული გარემოს პირვანდელ (ზიანის მიყენებამდე არსებულ) მდგომარეობაში აღდგენა შესაძლებელია გონივრულ ვადაში და აღნიშნული

არათანაზომიერ ხარჯებს არ მოითხოვს, მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებელ პირს ეკისრება გარემოს პირვანდელ (ზიანის მიყენებამდე არსებულ) მდგომარეობაში აღდგენის ვალდებულება.

3. თუ დადგინდა, რომ დაზიანებული გარემოს პირვანდელ (ზიანის მიყენებამდე არსებულ) მდგომარეობაში აღდგენა შეუძლებელია ან აღნიშნულის განხორციელება გონივრულ ვადაში შეუძლებელია ან არათანაზომიერ ხარჯებს მოითხოვს, მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებელ პირს ეკისრება გარემოს პირვანდელ (ზიანის მიყენებამდე არსებულ) მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენის ვალდებულება.

4. თუ დადგინდა, რომ დაზიანებული გარემოს პირვანდელ (ზიანის მიყენებამდე არსებულ) მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენა შეუძლებელია ან აღნიშნულის განხორციელება გონივრულ ვადაში შეუძლებელია ან არათანაზომიერ ხარჯებს მოითხოვს, მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებელ პირს ეკისრება დაზიანებული ტერიტორიის მიმდებარე ან სხვა ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი სანაცვლო/ადეკვატური ღონისძიებების განხორციელების ვალდებულება.

5. თუ დაზიანებული გარემოს პირვანდელ (ზიანის მიყენებამდე არსებულ) მდგომარეობაში აღდგენა ან პირვანდელ (ზიანის მიყენებამდე არსებულ) მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენა შესაძლებელია, მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია:

ა) ამ კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღისა სააგენტოს წერილობით წარუდგინოს ინფორმაცია ამ მუხლის მე-2 ან მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიების განხორციელების შესაძლებლობის შესახებ;

ბ) ამ კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 180 კალენდარული დღისა სააგენტოს ამ მუხლის შესაბამისად წარუდგინოს მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის პროექტი (მასში მითითებული უნდა იყოს ღონისძიებების ჩამონათვალი და მათი განხორციელების ვადები). მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის პროექტს უნდა ერთოდეს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ დადასტურებული ამ გეგმის პროექტის ხარჯთაღრიცხვა.

6. მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის პროექტი უნდა შეიცავდეს აგრეთვე ამ მუხლის პირველი-მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების იმავე პუნქტებით დადგენილი რიგითობის დასაბუთებას.

7. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია დეპარტამენტის მიერ ამ კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღისა სააგენტოს წარუდგინოს ამ მუხლის

პირველი-მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შეუძლებლობის დასაბუთება, რაც გულისხმობს დაზიანებული ტერიტორიის მიმდებარე ან სხვა ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი სანაცვლო/ადეკვატური ღონისძიებების განხორციელების საჭიროებას.

8. ამ მუხლის მე-5, მე-6 ან მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებელ პირს ეკისრება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამავდროულად, თუ მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებელი პირი, მისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად, არ ასრულებს ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით ან მე-6 ან მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას, დეპარტამენტი უფლებამოსილია მიმართოს გარემოსდაცვითი პროგრამის კომისიას მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით.

9. გარემოსდაცვითი პროგრამის კომისია დადგენილი წესით შეიმუშავებს რეკომენდაციას მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის შემუშავებისთვის პასუხისმგებელი ორგანოსა და გარემოსდაცვით პროგრამაში არსებული თანხების/ასიგნებების ფარგლებში ამ ღონისძიებებისთვის შესაბამისი დაფინანსების განსაზღვრის შესახებ. გარემოსდაცვითი პროგრამის კომისიის აღნიშნული რეკომენდაცია წარედგინება სამინისტროს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის შემუშავებისთვის პასუხისმგებელი ორგანოსა და ამ ღონისძიებებისთვის შესაბამისი დაფინანსების განსაზღვრის თაობაზე.

10. მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის შემუშავებისთვის პასუხისმგებელ ორგანოდ შესაძლებელია განისაზღვროს სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულება, გარდა დეპარტამენტისა.

აღნიშნული კანონის მე-18 მუხლის თანახმად დარღვევას წარმოადგენს დაზიანებული გარემოს პირვანდელ (ზიანის მიყენებამდე არსებულ) მდგომარეობაში აღდგენის ან პირვანდელ (ზიანის მიყენებამდე არსებულ) მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენის შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობა, რაც გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ორგანო (თანამდებობის პირი) დაადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობას ან არარსებობას, პირის ბრალეულობას მის ჩადენაში და სხვა გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. ეს მონაცემები დადგინდება შემდეგი საშუალებებით: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტებით, დაზარალებულისა და მოწმის

ჩვენებით, ექსპერტის დასკვნით, ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული გამოკვლევის (ტესტირების) შედეგებით, ვიდეოფირით ან ფოტოფირით, ნივთიერი მტკიცებულებით, ნივთისა და დოკუმენტის ამოღების ოქმით და სხვა დოკუმენტებით.

ამავე კოდექსის 237-ე მუხლის მიხედვით, ორგანო (თანამდებობის პირი), ხელმძღვანელობს კანონით და მართლშეგნებით, მტკიცებულებებს აფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რაც დამყარებულია საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევაზე მათ ერთობლიობაში, ხოლო 264-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ ორგანო (თანამდებობის პირი) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას მოვალეა დაადგინოს: ჩადენილი იყო თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ბრალეულია თუ არა პირი მის ჩადენაში, ექვემდებარება თუ არა იგი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, არის თუ არა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, აგრეთვე გამოარკვიოს სხვა გარემოებანი, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 31 იანვრის წერილის, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონული სამმართველოს 2023 წლის 27 ოქტომბრის NDES 12300079695 წერილისა და 2023 წლის 17 ოქტომბრის N DES 02300000140 ბრძანების, ასევე სხვა მასალების გამოკვლევის შედეგად, დადგენილი იქნა, რომ შპს „ასტექის“ კუთვნილი ასფალტის ქარხნისა და სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა- ხრეშის) გადამამუშავებელ საწარმოს, „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 17 ოქტომბრის DES02300000140 ბრძანებით დაეკისრა მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა. გადაწყვეტილება კომპანიას ჩაბარდა 2023 წლის 1 ნოემბერს. გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან (ჩაბარებიდან) 60 კალენდარული დღის ვადაში შპს „ასტექის“ მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში არ არის წარდგენილი ინფორმაცია კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, დაზიანებული გარემოს პირვანდელი (ზიანის მიყენებამდე არსებულ) მდგომარეობაში აღდგენის ან პირვანდელი (ზიანის მიყენებამდე არსებულ) მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენის შესაძლებლობის შესახებ.

კომპანიამ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 1 თებერვალს, გაუგზავნა ინფორმაცია და მოსაზრება „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დაკისრებული პასუხისმგებლობის ფარგლებში, კომპანიის მიერ დაზიანებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის შესაძლებლობასთან დაკავშირებით, რაც სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს ჩაბარდა 2 თებერვალს და რაზეც სააგენტოს 2024 წლის 23 თებერვლის N115/ს ბრძანებით შპს „ასტექს“ ნება დაერთო მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ“ სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 17/10/2023წ. №DEშ_0_23_00000140 ბრძანებით დაკისრებული გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ფარგლებში უზრუნველყო გარემოსთვის მიყენებული

მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი სანაცვლო/ადეკვატური ღონისძიებების განხორციელება დაზიანებული ტერიტორიის მიმდებარე ან სხვა ტერიტორიაზე.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, თუ ჩადენილია მცირემნიშვნელოვანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, მაშინ საქმის გადასაწყვეტად უფლებამოსილ ორგანოს (თანამდებობის პირს) შეუძლია გაათავისუფლოს დამრღვევი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და დასჯერდეს სიტყვიერ შენიშვნას. სიტყვიერი შენიშვნა არ გამოიყენება, თუ ჩადენილია იგივე ქმედება განმეორებით, ან თუ დამრღვევის მიმართ ადრე ჩადენილი იმავე ქმედებისათვის ამ მუხლის საფუძველზე გამოყენებული იყო სიტყვიერი შენიშვნა. ხსენებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, დამრღვევის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლების და მისთვის სიტყვიერი შენიშვნის გამოცხადების საფუძველს წარმოადგენს მის მიერ ისეთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა, რომელიც საქმის გადასაწყვეტად უფლებამოსილ ორგანოს (თანამდებობის პირის) მხრიდან მიჩნეული იქნება მცირემნიშვნელოვანად.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არ განმარტავს მცირემნიშვნელოვანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ცნებას და არც სხვა უფრო მნიშვნელოვანი სამართალდარღვევებიდან მცირემნიშვნელოვან სამართალდარღვევათა გამიჯვნის კრიტერიუმებს ადგენს. კანონმდებელი ყოველი კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების, სამართალდარღვევის ხასიათის და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგადი პრინციპების გათვალისწინებით, მცირემნიშვნელოვანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლებასა და მისთვის სიტყვიერი შენიშვნის გამოცხადებასთან დაკავშირებით დისკრეციულ უფლებამოსილებას საქმის განმხილველი ორგანოს (თანამდებობის პირის) ანიჭებს.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, მცირემნიშვნელოვან სამართალდარღვევად უნდა ჩაითვალოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით აკრძალული ისეთი ქმედება, რომელიც მართალია, შეიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე სამართალდარღვევის ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი ან/და სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებები, მმართველობის დადგენილი წესის ისეთი დარღვევა, რომელიც აუცილებელს გახდოდა მისი ჩამდენის პირისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებას.

სასამართლო იზიარებს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განმარტებას (2019 წლის 4 ივლისის N4/ა-262-2019 დადგენილება), სადაც პალატამ აღნიშნა, რომ „სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, არავის არ შეიძლება შეეფარდოს ზემოქმედების ზომა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო, თუ არა კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით. ამავე ნორმის მიხედვით, ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა საქმეებს აწარმოებენ კანონიერების მკაცრი დაცვის საფუძველზე. საამისოდ უფლებამოსილი ორგანოები და თანამდებობის პირნი ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომებს შეუფარდებენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის ზუსტი შესაბამისობით. ადმინისტრაციული სახდელი წარმოადგენს პასუხისმგებლობის ზომას და გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის აღსაზრდელად კანონების დაცვის, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე როგორც თვით სამართალდამრღვევის, ისე სხვა პირთა მიერ ახალი სამართალდარღვევების ჩადენის აცილების მიზნით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 34-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად ითვლება ბრალეულის გულწრფელი აღიარება. ამავ ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ორგანოს (თანამდებობის პირს), რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს წყვეტს, შეუძლია შემამსუბუქებლად მიიჩნიოს ისეთი გარემოებანი, რომელიც არ არის აღნიშნული კანონმდებლობაში. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის დანაწესით, თუ ჩადენილია მცირემნიშვნელოვანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, მაშინ საქმის გადასაწყვეტად უფლებამოსილ ორგანოს (თანამდებობის პირს) შეუძლია გაათავისუფლოს დამრღვევი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და დასჯერდეს სიტყვიერ შენიშვნას. ზემოხსენებული ნორმის მოცემულობის გათვალისწინებით სასამართლო განმარტავს, რომ დამრღვევის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების და სიტყვიერი შენიშვნის გამოცხადების საფუძველს წარმოადგენს მის მიერ ისეთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა, რომელიც საქმის გადამწყვეტი უფლებამოსილი ორგანოს (თანამდებობის პირის) მხრიდან მიჩნეული იქნება მცირემნიშვნელოვნად, ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კანონმდებელი მითითებული პირობების არსებობის შემთხვევაში ყოველი კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების, სამართალდარღვევის ხასიათის და საქართველოს ადსკ ზოგადი პრინციპების გათვალისწინებით მის შეფარდებასთან დაკავშირებით დისკრეციულ უფლებამოსილებას საქმის განმხილველ ორგანოს (თანამდებობის პირს) ანიჭებს.

პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი არ განმარტავს მცირემნიშვნელობის ცნების ლეგალურ დეფინიციას და არც მცირემნიშვნელოვან სამართალდარღვევათა ან უფრო მნიშვნელოვან სამართალდარღვევათა ჩამონათვალს და მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნის კრიტერიუმებს ადგენს. შესაბამისად ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე მცირე მნიშვნელოვან სამართალდარღვევად მიიჩნევა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით აკრძალული ისეთი ქმედება, რომელიც მართალია, შეიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი ან საჯარო წესრიგის ისეთი დარღვევა, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. ამასთან, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მოცემული ნორმით გათვალისწინებული საშელავათო დანაწესის გამოყენება საქმის გარემოებებიდან გამომდინარე საქმის გადამწყვეტი უფლებამოსილი ორგანოს

(თანამდებობის პირის) კომპეტენციაა.

პალატა დამატებით განმარტავს, რომ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, იურიდიული პასუხისმგებლობის სხვა სახეების მსგავსად, კანონიერების, სამართლიანობის, პასუხისმგებლობის გარდაუვალობის და ა.შ. პრინციპებს ეფუძნება, ანუ პრინციპთა ერთიან სისტემას, რომლებიც ასახავენ მის შინაარსს, არსს, ფუნქციებსა და რეალიზაციის ფორმებს. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის პრინციპები ასახავენ მის ობიექტურ არსს, მიზნებს, ბუნებას და დანიშნულებას. პასუხისმგებლობის ზომების განსაზღვრის დროს კანონმდებელი შეზღუდულია სამართლიანობის, პროპორციულობის და სამართლის სხვა კონსტიტუციური და ზოგადი პრინციპების მოთხოვნებით.

საყურადღებოა ისიც, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომა დასაბუთებული უნდა იყოს აღნიშნულ სამართალდარღვევასთან ბრძოლის არსიდან გამომდინარე. მისი მიზანი შეიძლება იყოს სამართალდარღვევათა თავიდან აცილების უზრუნველყოფა (ზოგადი პრევენცია), სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და სხვა (ასკ-ის პირველი მუხლი). პალატის მოსაზრებით, მარტოოდენ სამართალდამრღვევის დასჯა არ უნდა ატარებდეს მხოლოდ რეპრესიულ ხასიათს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნეს ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი. წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა ადმინისტრაციული სამართლის ისეთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი, როგორცაა კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი“.

მოცემულ შემთხვევაში, იმ ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, რომ შპს „ასტექის“ წარმომადგენელმა აღიარა ჩადენილი სამართალდარღვევის ფაქტი, სამართალდარღვევის აღმოსაფხვრელად განხორციელდა ღონისძიებები და დღეის მდგომარეობით დაგვიანებით, მაგრამ დარღვევა აღმოფხვრილია, ამ ქმედებით გარემოს რაიმე მატერიალური სახის ზიანი არ მიდგომია, ასევე, საქმის მასალებში არ მოიპოვება პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, მის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევა უნდა შეფასდეს მცირე მნიშვნელობის მქონედ, ვინაიდან სასამართლოს მიაჩნია, რომ მის ქმედებას არ გამოუწვევია რაიმე ზიანი ან/და სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ისეთი დარღვევა, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებას. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით შპს „ასტექის“ მიმართ გამოყენებულ უნდა იქნას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლით გათვალისწინებული საშეღავათო წესი.

სასამართლომ იხელმძღვანელა „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე, 266-267-ე, 271-ე, 273-ე, 290-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. შპს „ასტექ“ (ს/კ 400293348, იურ. მის:ქ. ოზურგეთი, დირექტორი:

ცნობილ იქნეს სამართალდამრღვევად, „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით და ადსკ 22-ე მუხლის საფუძველზე, გათავისუფლდეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და გამოეცხადოს სიტყვიერი შენიშვნა;

2. დადგენილების ასლი გადაეცეს მხარეებს და დადგენილების შესახებ მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში ეცნობოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკურ დეპარტამენტს;

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი მხარეთათვის გადაცემიდან 10 დღის ვადაში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მდებარე: ქ.ქუთაისი, ნიუპორტის ქუჩა N32), თერჯოლის მაგისტრატი სასამართლოს მეშვეობით (მდებარე: ქ.თერჯოლა, ლეონიძის ქუჩა №2).

მოსამართლე ხელმოწერილია შოთა ნიკურაძე
ასლი სწორია, მოსამართლის თანაშემწე:

